

ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის N17 ბინაზე,  
მოქალაქე თამაზი სვანიძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის  
გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მუსხელიშვილის ქუჩის N1ა საცხოვრებელი სახლის N17 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თამაზი სვანიძის წარმომადგენლის მინდია ხამაშურიძის განცხადება /2013 წ. 03.07 №-7016/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის N17 ბინა/ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე თამაზი სვანიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ.ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის N17 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თამაზი სვანიძეს.

2. ქ.ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/ ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის N17 ბინაზე /საერთო ფართობი 30.864 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 14.345 კვ.მ. დამხმარე ფართობი 16.519 კვ.მ./ მოქალაქე თამაზი სვანიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე